№ 68

სამშაბათი, 8 აპრილი 1897 წ.

1877—1897

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ . . —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 68

8 აპრილი 1897 წ.

რედაქცია: კოლოთბის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ადრესი: კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ-დ. კ. ი. მუხრან-ბატონიშვილისა, № 6/1

ტელეფონი № 444.

# შუამავალი

**ალექ-მიცემის მაღაზიაში იყიდება ძლიერ იაფად საუკეთესო ლო-რი (ვიჩინა) ღორისა.** ისყიდება აქვე: გამომცხვარი პასკები ,,ლუისის'' ქარხნისა; კვერცხი და კვერცხის საღებავები; ფქვილები და ყოველგვარი სამზადისი პასკისა,—და აგრეთვე ღვინოები, არყები და სასმელები ადგილობრივი, რუსეთისა და საზღვარ გარეთისა. (3—94—1)

## მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა: კრჯგნის მაზრის უფროსი, სტატსკი სოვეტნიკი სილიჩი დანიშნულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის ბათუმის ოლქის უფროსად.

დათხოვილ იქმნა: სამსახურიდგან დუშეთ-თიანეთის ორ-კლასიანის სასწავლებლის სამღრთო სჯულის მასწავლებელი, მღვდელი მიხეილ ბერძენიშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად.

განთავისუფლებულ იქმნა: ტფილისის მესამე ქალთა გიმნაზიის სამზრუნველო საბჭოს წევრის წოდებისაგან თავად გ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი.

გადაყვანილ იქმნა: მე-78 ნავაგის რაზმის პორუჩიკი მდივანიშვილი—კავკასიის კადრის ბატალიონში.

განწესებულ იქმნა: გერასიმე ზაზანაშვილი—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მდაბალ ხარისხის ფოსტის მოხელედ.

—◆◆—

# ახალი ამბავი

—

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის სამხედრო ტაძრის კურთხევა გადაუდვიათ მაისამდე.

*** რუსულ დრამატიულ არტისტების ამხანაგობა, რომელსაც მოთავედ ბ-ნ ლიუდვიგოვი ჰყავს, კვირას, 6 აპრილს, ტფილისს ჩამოვიდა.

*** საზაფხულო თეატრის და ბაღის გაღებას აპრილის 15 აპირობენ.

*** სასანიტარო და საექიმო საბჭოს განკარგულება მოუხდენია, რომ სხვა ქალაქებიდგან ჩამოტანილს ღორს, თუ არა აქვს საქიმიო ლაბარატორიის დამღა, უსათუოდ გაგზავნეთ ტფილისის ლაბარატორიაში გამოსაკვლევად, ღორთველით ხომ არ არიან ავადმყოფებიო.

*** ტფილისში დოღი აპრილის 20 და 27 არის დანიშნული. ამავე დროს დიდუბის დოღის მოედანზედ იქნება გამართული ცხენების გამოფენა. მეორე დოღი გაიმართება ტფილისში შემოდგომას და ამის შემდეგ ყოველ წელს ერთის დოღის მაგივრად ორი იქნება გაზაფხულზე—ორს დღეს და შემოდგომაზედ—სამს დღეს.

*** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ იშუამდგომლა, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას პოლიტეხნიკუმიო, მაგრამ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა და წინადადება მისცა, ტფილისში შეგიძლიანთ საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი დააარსოთო. ქალაქის გამგეობამ და სამოსწავლო კომიტეტმა განიხილეს სამინისტროს წინადადება, სასურველად იცნეს მისი დაარსება და გადასწყვიტეს, რომ ქალაქი ყოველ წლივ საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს მისცემს იმ 3000 მან., რომელიც გადადებულია პოლიტეხნიკუმის დაარსებისათვის, და ამას გარდა, დაუთმობს 100 დესეტინა მამულს, თუ სასწავლებელთან დაარსებულ იქმნა სატეხნიკო განყოფილება, რომელიც ამზადებს ინსტრუქტორებს, რომ მათ გააცნონ ადგილობრივნი მკვიდრნი სხვა-და-სხვა შინა ხელ-საქმეს: ფეიქრობასა, ყველის კეთებასა და სხ., ისე-კი, რომ ეს სასწავლებელი უეჭველად ტფილისში იქმნას დაარსებული. ეს დადგენილება ქალაქის გამგეობისა წარედგინება საბჭოს და შემდეგ გაეგზავნება პასუხი მიწად-მოქმედების მინისტრს.

*** ტფილისის დამოჯნას მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულისათვის უცნობებია, რომ საზღვარგარეთიდგან რკინის ბოჭკებით გოგირდის ნახშირ-მბადი მოგივიდათ და თითოეულს ფუთზედ, წესდების ძალით, 2 მანეთამდის ბაჟი უნდა გარდაიხადოთო. რადგან სულ 250 ბოჭკა გოგირდის ნახშირ-მბადი მოსულა, წონით 1,000 ფუთამდე, რომლის ბაჟი ორას თუმნამდე ადის და ამოდენა ფულის გადახდა საძნელოა, მინისტრის რწმუნებულმა სამინისტროში იშუამდგომლა, ამ ბაჟის გარდასახადისაგან განგვათავისუფლეთო.

*** აღდგომის მისალოც დეპეშებს, ფოსტა-ტელეგრაფის მართველობის განკარგულებით, 6 აპრილიდგან მიიღებენ. დეპეშაში, ადრესის წინ უნდა დაწერილ იყვეს სიტყვა „მისალოცი". ამ სიტყვისთვის ფულს არ ახდევინებენ. მისალოც დეპეშებს ჩვეულებრივის წეს-რიგიდ გაგზავნიან, მაგრამ პატრონთ აღდგომა დღეს გარდასცემენ. დეპეშაში ის დრო არ იქმნება აღნიშნული, როცა იგი გასაგზავნად მიიღეს ტელეგრაფის სადგურში.

*** 22 მარტიდგან 1-ლ აპრილამდე ტფილისში წითელათი 37 კაცი ყოფილა ავად, ქუნთრუშით 4, ყვავილით 1 და შავი სახადით 7.

*** როგორც „კასპი" გვაუწყებს, მოსკოვიდგან ბაქოს ჩამოსულა ინჟინერი რუდკოვსკი, რომელმაც უნდა გარდასწყვიტოს, ბაქოდგან დარუბანდამდის გასაყვან რკინის გზას რა მიმართულება უნდა მიეცეს. რკინის გზის კეთებას ჩქარა შეუდგებიან.

*** გაზ. „კავკაზის" სიტყვით, ბათუმში ამ ჟამად 37 კაცი ყოფილა შავი სახადით ავად.

*** გაზ. „ტერსკია ვედომოსტი" შემდეგ ამბავს გვაუწყებს: კავკავში, მარინსკის ქუჩაზედ, № 59 სახლში, დურგალ კუპრიანოვის 16 წლის ქალს დიდ-მარხვის პირველ დღეს დაუძინია და ჯერაც კიდევ არ გამოუღვიძნია თურმე.

*** „ნოვ. ობოზ."-ს ოჩემჩირედგან სწერენ: სოხუმის ეპარქიის სამოსწავლო საბჭომ დაადგინა,—სოფ. მოქვას სამრევლო სასწავლებელი დააარსოსო.

*** ფერშლები (ვაჟნი და ქალნი) ჰსურთ დაიქირავონ სპარსეთის საზღვრებზედ და კასპიის ზღვის ნაპირებზედ გასაგზავნად. ფერშალს-მამაკაცს 25 მან. ექმნება თვიური ჯამაგირი, ხოლო ქალ-ფერშალს პირისპირ მოელაპარაკებიან ჯამაგირის შესახებ. ვისაც ზემო-აღნიშნული თანამდებობის მიღება სურს, სადამოჟნო კარანტინის ოლქის უფროსს უნდა მიჰმართოს თხოვნით (პირად ანუ წერილით) ბაქოში.

*** ტფილისის საგუბერნიო მმართველობის საღმშენებლო განყოფილებას პროექტი შეუდგენია მდინარე ტანაზედ (გორის მაზრაშია) ხიდის გაკეთებისა, რადგან წინანდელი ხიდი შარშანდელმა წყალ-დიდობამ დაანგრია. ხიდი ხისა იქმნება და ხსენებულ განყოფილებას განზრახვა აქვს შუამდგომლობა დაიწყოს, რომ ხიდისათვის საჭირო ფული იქმნას გადადებული საერობო თანხიდგან.

*** 3 აპრილიდგან უკვე დაიწყო სიარული ტფილისიდგან ბორჯომამდე საავარაკო მატარებელმა, რომელიც ჯერ-ჯერობით ცარიელი ადის და ჩამოდის.

*** ორშაბათს, 7 აპრილიდგან, ტფილისის საბჭოს დარბაზის განათება გაზით დაიწყეს, რისთვისაც უკვე დადგმულია აეროვის გაზის პატრუქები.

*** ქალაქის გამგეობაში წარუდგენიათ ახალი პროექტი იმის შესახებ, რომ გაზის ქარხანა იქმნას გამართული ერევნის მოედნისა, გოლოვინის პროსპექტისა, ვერის აღმართისა და მიხეილის ქუჩის გასანათებლად. ამ გაზის ქარხნის ასაგები ხარჯი სულ 20,000 მან. არის აღრიცხული.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნაკი, ქართულს ენაზედ გამოცემული „გედები", ზღაპარი ანდერსენისა, თარგმანი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა გრ. ტატიშვილისა. წიგნაკს ჩართული აქვს ხუთი სურათი, შეიცავს 37 გვერდს პაწია ფორმატისას და ჰღირს 20 კაპ., რაც იაფი არ არის.

*** ,,ახ. მიმოხ.''-ს აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ ფინანსთა სამინისტრომ განიხილა საქმე იმის შესახებ, რომ გორის რკინის ხიდზედ ეტლების გასატარებელი და საქონლის გასაყვანი გარდასახადი ისევ დარჩესო, თუმცა ამ შემოღებულს გარდასახადს უკვე გაუთავდა ვადა და დაადგინა, რომ ეს გარდასახადი აღარ გამოერთვათ მკვიდრთ, რადგან გორის მაზრის მცხოვრებელნი უკანასკნელ წყალდიდობის გამო ძალიან დაზარალდნენ და უიმისოდაც გაჭირვებულნი არიანო.

*** როგორც იგივე გაზეთი გვაცნობებს, განსვენებულ ა. ა. სოლოვცოვის მემკვიდრეთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასწავლებლისთვის ბათუმში 50 ძირი სხვა-და-სხვა ხის ნერგი შეუწირავს ხსენებულ სასწავლებლის ეზოში დასარგავად.

*** ბათუმი. 5 აპრილს, ღამით, ჩურუქსუს განყოფილების სამართველოს ცეცხლი წაჰკიდებია და დამწვარა.

*** ,,პეტ. ვედომ.'' გაუგონია, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს ტყის მცველთა მოხელეების ინსტიტუტის სხვა წესით მოწყობა და გაუქმება ტყის რევიზორის თანამდებობისაო.

*** გორის მაზრაში ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ქურდობა და სახლ-კარის ცეცხლით გადაწვა მტრებისაგან. ამ წლის 12 თებერვალს წაუკიდეს ცეცხლი ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა თავ. ნიკოლოზ სარდიონის ძის ციციშვილის სახლს სოფ. დოესში. სახლი სულმთლად დაიწვა და თ. ციციშვილი 3,500 მ. ღირებულს ქონებას გამოესალმა. ადგილობრივი პოლიცია ვერას გახდა ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენად და ამიტომ საგუბერნიო მმართველობის განკარგულებისამებრ ეს საქმე მიენდო მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ ნს არნოლდის, რომელმაც აღმოაჩინა ცეცხლის წამკიდებელი და შეიპყრო. ესენი ყოფილან ამავე სოფლის მცხოვრებელი გლეხები: ანდრო ცარუაშვილი და იასონ ტერტერაშვილი. დამნაშავენი ამ ჟამად გორის საპყრობილეში არიან დაპატიმრებულნი.

*** „ჩერ. ვეს."-ს სიტყვით, ბათუმის მოურავს ბ-ნ ლუკა ასათიანს ქალაქის საბჭოს ხმოსნებთან დ რამდენსამე სხვა მოქალაქესთან კერძო მოლაპარაკება ჰქონია იმის შესახებ, რომ გიმნაზიისათვის, რომელიც ამა წლის შემოდგომიდგან იმართება ბათუმში, დროებითი შენობა ვიშოვნოთო. მოლაპარაკების შემდეგ იმ აზრს დასდგომიან, რომ ვიდრე საკუთარს შენობას ავაგებდეთ, გიმნაზია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასწავლებლის შენობაში მოვათავსოთ ხოლო ამ უკანასკნელისთვის ამ ხნის განმავლობაში ქალაქმა სხვაგან იშოვოს ბინაო. ხსენებულ სასწავლებლის ზედამხედველ კომიტეტს თავის მხრივ ამის შესახებ თანხმობა გამოუცხადებია და აღუთქვამს, რომ ამ ამბავს „საზოგადოების" გამგეობას ვაცნობებთ ტფილისში და ნება-რთვას ვთხოვთო.

*** „ნოვ. ობოზ."-ს პეტერბურგიდგან აუწყებენ: ფილოქსერის წინააღმდეგ ღონისძიებათა გამოსარკვევად მიწად-მოქმედების მინისტრის მიერ მიწვეულმა კრებამ დაადგინა, გორის მაზრაში ფილოქსერასთან ბრძოლა განგრძობილ იქმნასო; ამასთანავე კრებამ სასარგებლოდ სცნო ნოვოროსიისკსა და სოხუმში ამერიკის ვაზის სანერგე იქმნას გაშენებულიო.

*** ს. სვირი. 5 აპრილს ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა სად. სვირში. საიდგანღაც ჩამოვიდა აქ ორი ქალი სადგურზედ და უცდიდნენ მატარებლის მოსვლას. უცებ ვიღამაც ბარგი მოჰპარა და ქალები მაშინვე დაფაცურდნენ, დაიწყეს ძებნა და მოსცილდნენ თუ არა სადგურს, იქვე მახლობელ დუქანში მოქეიფე რამდენიმე ყმაწვილი კაცი გამოცვივდა და თავს დაესხნენ საბრალოებს და უპატიურება მიაყენეს დარაჯების მონაწილეობით. ამის შემდეგ ეს ლოთები გათენებამდის ქეიფობდნენ და ხმის გაცემა-კი ვერავინ გაუბედა. საზოგადოდ ამ სასმელების დუქანში საეჭვო ხალხი იყრის თავს და ამისთანა ამბები ხშირია აქა.

*** ცხინვალი. 4 აპრილს, შუადღისას ყაჩაღები თავს დაესხნენ სოფ. კეხვის მახლობლად ოთხს რაჭველს, რომლებიც სააღდგომოდ რაჭაში მიდიოდნენ და წაართვეს 24 თუმანი. ერთი რაჭველი გაუძალიანდა ავაზა-

კებს და იმათაც ხანჯლით [illegible] ეს. გაძარცულმა რაჭველებმა ეს ამბავი ბოქაულს შეატყობინეს, რომელმაც კვალდაკვალ მისდია ავაზაკებს და შეიპყრო კიდეც, მაგრამ 24 თუმნიდგან მხოლოდ 7 მანათი ღა უპოვნა.

⁂ შუშა. 30 მარტს ერთი საზარელი ამბავი მოხდა; მარიამ ჰიგნავორიანცის სახლში ვიღაც ავაზაკები შევიდნენ, დედა-კაცი დაარჩვეს და სახლში თუ-კი რამ ძვირფასი ნივთი ნახეს, ყველაფერი წაიღეს. ავაზაკები ჯერ ვერ აღმოაჩინეს. ამ რამდენისამე დღის წინად სონა მელიქ-შაჰნაზარიანცის სახლიც გაძარცვეს და არც ის ავაზაკები იციან, ვინ იყვნენ. („მშაკი“).

⁂ გელახი. 5 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ორი მგზავრი მირზა ალავერდი-ოღლი და გუმბატ-აბას-ოღლი, რადგანაც სწვიმდა, ვაგონებს ქვეშ შესულიყვნენ, წვიმის გადაღებას უცდიდნენ თურმე და ლოდინში ჩასძინებოდათ. როდესაც ვაგონებს ორთქლ-მავალი მოაბეს და მეორე ლიანდაგზედ უნდა გადაეტანათ, ორივენი ქვეშ მოჰყვნენ და საშინლად დაშავდნენ. პირველი რამდენისამე საათის შემდეგ გარდაიცვალა და მეორეს-კი მკლავი მოსწყვიტა მატარებელმა.

⁂ დ. ხაშური. 5 აპრილს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. მეისრეს ნესტორ ცქელაძეს ემართა მეპურის ლუკა სისხლაძის პურის ფული 15 მანეთი. როცა ჯამაგირი მიუღია ხსენებულ ცქელაძეს, წასულა და უთქვამს მეპურისათვის, ბიჭი გამოგზავნე, ვიანგარიშოთ და რაც გერგება, მოგართმეო. მეპურეს გაჭხარებია, გაუგზავნია ბიჭი და დავთარიც თან გაუტანებია. მისულა ოთახში ბიჭი, მეისრეს უჩვენებია ბიჭისთვის ფული, გამოურთმევია დავთარი ბიჭისთვის, კარგად უცემნია, დავთარი დაუხევია, გამოუგდია ბიჭი კარში და უთქვამს: წადი და შენს უფროსს უთხარი, რომ წავიდეს და მიჩივლოსო. გამოძიება სწარმოებს.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფელი ისულა,** (სენაკის მაზრა). შარშანდელმა მოუსავლობამ და წყალდიდობამ როგორც სხვა სამეგრელოს კუთხეები არ დასტოვა დაუზიანებელი, არც სოფ. ისულა ჩამორჩა სხვებსა. ამის და მიუხედავად, ეს უკანასკნელი ისე დააზარალა მდინარეების გადმოსვლამ, რომ დიდს ხანს ვერ მოიდგამს სულს აქაური ზოგიერთი გლეხი... წარსულ წელს აქაური ნათესი ორ-სამჯერ დაითესა, მაგრამ ყოველთვის აზღვავებულმა მდინარეებმა გადაღვარა, ზოგიერთებს თითქმის სარჩო სიმინდი არ მოსვლიათ და დღეს თუ ხვალ სატაა კარს მიადგებათ სიმშილი! თუ იგი ეწვიათ აქაურებს, ძალიან დიდს გაჭირვებაში ჩასცვივიან, მით უფრო, რომ ხალხში ფული სასუნებლად არ არის. ამ ფულის ქასატობის დროს რომელი წვრილ ცოლ-შვილის პატრონს გლეხს შეუძლიან ოჯახი გამოჰკვებოს და ამასთან სხვა-და სხვა გარდასახადსაც პირნათლად გაუძღვეს?.. აქაური „ფუსარა“ სიმინდით ამაყობს, მისი სიმდიდრე თუ სიღარიბე სიმინდზეა დამოკიდებული. ამითი უძღვებს იგი ოჯახის დღიურს მოთხოვნილებას და სხვა-და-სხვა გარდასახადსა, ტირილ-ქორწილსა და სხვ. დღეს-კი უველას სასო აქვს წარკვეთილი, ყველას მხიარულების კარი დაკეტა და განისვენებენ სატანჯველსა შინა.

ამ გვარ ბუნებისაგან დაჩაგრულებს, არც ეს აკმარეს ზოგიერთმა ბოროტ-მოქმედებმა. აქეთ კვლავ თავი იჩინა ღამის რაინდებმა. ეს ვაჟბატონები უშიშრად ფართოვმოზენ და ჰპარავენ იმას, რაც-კი იმათთვის ხელ-საყრელია. აქამდის სახლებსა სტეხდნენ და გაჰქონდათ რაც უნდოდათ, მაგრამ ახლა-კი სხვასაც მიჰყვეს ხელი: იპარავენ შინაურს საქონელსაც. 20 მარტის ღამეს ოთხი ცხენი ერთად მოიპარეს ჭ წაესხათ. მათ შორის ერთი მეტად შესანიშნავი და კარგი ცხენი მერაია ხარჩილავასი. ამის გამო ამ სოფლის ხევისთავის უფროსმა აზ. დავით სალაყაიამ ყველა ღონე მიიღო, რათა დამნაშავე აღმოჩინა. როგორც ისმის, გუშინაც მიუტანია. იმედია, ბ-ნი სალაყაია დამნაშავეს აღმოაჩენს და სამართალში მისცემს...

ტელეფონი

---

**ს. სტეფან-წმიდა.** (ხევი.) ამ სოფლის მახლობლად თერგის გაღმით მაღალს თვალ-აუწვდენელს მთაზედ აშენებულია წმიდა სამების ტაძარი, რომელსაც ზემოდამ მუდამ ყამს თოვლ-ყინულით შემოსილი ბუმბერაზი მყინვარი გადმოსცქერის და ძირს მხეცსავით გამძლებულად მყვირალი თერგი მოუთამაშებს. ამ მთაზედ თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, ანდრია პირველ-წოდებულმა, მოციქულმა ქრისტესამან უქადაგა აქ მცხოვრებთ და ჯვარი აღმართა. მას შემდეგ აქ ქრისტიანობას მკვიდრად მოუკიდებია ფეხი და მართლ-მორწმუნეთ უძველესის დროიდგან ეს ტაძარი აუშენებიათ. ამ ტაძარში შემდეგ წმ. სტეფანემ, ერთმა სირიით მოსულ ათცამეტ-მამათაგანმა, მონასტერი დააარსა და მწყსიდა და უვლიდა მთელს ხევს. მას შემდეგ ეს უძველესი ტაძარი უწმიდესს ადგილად გარდაიქცა მცხოვრებთა თვალში და მუდმივ მოდიოდნენ აქ სალოცავად და თაყვანის საცემლად.

ეკკლესიაში ერთი მეტად ძველი ღვთის-მშობლის ხატია დარჩენილი, ამის გარდა, ეკკლესიას ძველი არაფერი აქვს. ამ ტაძარში რამდენჯერმე იცის წელიწადში დღეობა, მაგრამ ყველაზედ უფრო შესანიშნავია ფერისცვალება და განსაკუთრებით მარიამობა, როდესაც არამც თუ მოხევენი, მთელის კავკავის რუსობა და ქართველობა აქ არის ხოლმე და დიდი ამბავიც იცის. მოხევენი მველებურად დროშებს აყდარუნებენ და ლხინსა და ქეიფსა ჰმართავენ. მოხევენი, როგორც ყველა სხვა სიწმიდეს, ამასაც დიდის მოწიწებით ეკიდებიან, ყოველ წელს განსაკუთრებით ოთხი დარაჯი ჰყავს მიყენებული ს. გერგეთიდგან, რომელნიც გამუდმებით აქა სცხოვრობენ ზამთარ-ზაფხულობით და ეკკლესიას სდარაჯობენ.

ახლა ეს ეკკლესია მალზედ დამაზიანებულია, კედლები ინგრევა და შიგ წყალი ჩამოდის და თუ ასე დარჩა, რამდენისამე წლის განმავლობაში სულ მთლად დაიქცევა. ამისათვის ფრიად და მალიან საჭიროა ამ საქართველოს ძველის დიდების განახლება და შეკეთება. აქაურს მხნე მღვდელს მამა ალექსანდრე დოლიძეს განუზრახავს ამ ძველის დიდების განახლება და აღდგენა. მაგრამ, რასაკვირველია, ამ დიდს და საჭირო საქმეს სრულიად ვერ შესძლებს და იოტის ტოლადაც ვერ აასრულებს სიღარიბისაგან წელში მოხრილი მოხევე, რომელიც დღიურს ლუკმას მლივსა ჰშოულობს. ამისათვის საჭიროა ყოველმა გულ-შემატკივარმა ქართველმა თავისი წვლილი არ დაიშუროს ამ ფრიად კეთილის და საჭირო საქმისათვის და თავისის შეწირულებით ხელი შეუწყოს მოხევეთა სურვილს. ვუსურვებთ მამა ალ. დოლიძეს, რომ დაწყებული საქმე სისრულეში მოეყვანოს და კეთილად დაემთავრებინოს.

ზ. ედილი

---

## რა ნაირი სასწავლებელია ამ ჟამად ჩვენთვის სასურველი?

(წერილი ოზურგეთიდგან)

მეტად სასიამოვნოა, როდესაც რომელისამე საგნის შესახებ გატაცებით, დიდის იმედებით აღჭურვილი ჰფიქრობ და იმავე საგანზედ მოგიხდება საზოგადოებასთან ლაპარაკი; ამასთანავე, ზნეობრივად ისე არა სტანჯავს-რა ადამიანს, როგორც ეჭვი, მათემატიკურად წინდაწინვე გამოუანგარიშებლობა თვით იმ სარგებლობისა, იმ იმედისა, რომელსაც, შენის აზრით, უნდა უქადოდეს შენგან არჩეული კეთილი საქმე საზოგადოებას. აი, ეს ორნაირი, ერთიმეორის საწინააღდეგო, გრძნობა ტრიალებს ეხლაც ჩემს გულში. მართლაც, როგორც მოეხსენება მკითხველ საზოგადოებას, მე, როგორც გაცნობილმა თვით ადგილობრივის ცხოვრების არსებითს საჭიროებასთან, ვურჩიე ოზურგეთის მაზრის საზოგადოების ერთს მოწინავე დასს, რომ მას დაეკმაყოფილებინა თავიანთი უსაჭიროესი მოთხოვნილება სწავლა-განათლების შესახებ და დაეარსებინათ როგორმე ისეთი სასწავლებელი, რომელიც უფრო მოამზადებს, გაწვრთვნის მოზარდ ახალ-თაობას მომავალის ცხოვრებისთვის. ეს რჩევა თვით ჩვენის თანამედროვე ცხოვრების პირობათაგან არის გამოწვეული. მხოლოდ საქმე ის არის, რა ტიპის, რა ხასიათის სასწავლებელია სასურველი ჩვენთვის ამ ჟამად.

ჩვენ ყოველსავე საერთო საქმეში ყოველთ უწინარეს უნდა გავითვალისწინოთ თვით ჩვენი მდგომარეობა, ჩვენის ადგილობრივის და საერთო ცხოვრების გარემოება და იმის თანახმად უნდა მოვაწყოთ ყოველნაირი ჩვენი საერთო, საზოგადო საქმე. ერთი უმთავრესი არსებითი საჭიროება ეხლანდელ დროში ყველგან და, მით უმეტეს ჩვენს სწავლა-განათლებით დაქვეითებულს სამშობლოში,—არის ახალ-თაობის რიგიან გზაზედ დაყენება, აღზრდა; ეს საანბანო სიმართლეა ყველასათვის ეხლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერაც, არამც თუ ჩვენში, ჩვენზედ უფრო დიდად დაწინაურებულ ქვეყნებშიაც არ გამოურკვევიათ, არ გამოუძებნიათ ამ აზრის განსახორციელებლად საუკეთესო საშუალება, ჯერ კიდე არ გადაწყვეტილა ეს საძნელო საქმე. საქმე მხოლოდ ის გახლავსთ, რომ, შედარებით სხვებთან, საუკეთესო, სასურველ, სანატრელ გზას დავადგეთ: რაც უნდა პრაქტიკულად არ შევხედოთ საგანს, მაინც ყველა გონიერ, შეგნებულ კაცისათვის ცხადია ის აზრი, რომ სასწავლებელს აზრად უნდა ჰქონდეს ბავშვის ადამიანად, ყოველისავე ღირსებით აღჭურვილ კაცად შექმნა. რა თქმა უნდა, ეს იდეალი უნდა იყოს, რომელსაც ყოველი სასწავლებელი, ცოტად თუ ბევრად, უნდა უახლოვდებოდეს.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ და თვით ცხოვრებაც თხოულობს ახალგაზდობისაგან, საზოგადოების მომავალის წევრებისაგან კაცურ ღირსებათა, რომელიც მრავალ-ნაირია. მაგრამ მათი გამორკვევა და გამოაშკარავება შეუძლიან მხოლოდ ხან-გრძლივს სისტემატიურს წრთვნას, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას. აი, ამ აზრით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როდესაც მოვინდომებთ ახალ თაობის აღზრდისათვის ზრუნვას. რა თქმა უნდა, თვით ცხოვრება, გარემოება რომელისამე კუთხისა და საზოგადოებისა უჩვენებს კაცს, თუ სად და რა დროს რანაირი ცოდნა და რა ხელობა არის საჭირო. სპეციალური ცოდნა, ხელობა, ყველა ადამიანისათვის საჭიროა ეხლანდელ დროში, მაგრამ ამ სპეციალურ ცოდნას მხოლოდ მაშინ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, როდესაც მას ჰკიდებს ხელს შეგნებული, ყოველ მხრივ განვითარებული, მომზადებული კაცი. ამიტომ ყველაზედ უწინ უნდა ვცდილობდეთ ჩვენის ახალ თაობის ისეთ გზაზედ დაყენებას, რომლითაც გაუადვილდება უნივერსალურის ყოველ-მხრივის განათლების შეძენა. ამას უნდა ვცდილობდეთ, რომ ჩვენს ახალთაობას გაუადვილდეს მრავალ-ნაირ ნიჭის სავსებით გაწრთვნა, უმაღლესად განვითარების წერტილამდის მიღწევა. ეს უნდა იყოს უმთავრესი ჩვენი იდეალი.

ეხლა დავუბრუნდეთ თვით პრაქტიკულ ცხოვრებას: რანაირ სასწავლებელს შეუძლიან მიაღწიოს ცოტად, თუ ბევრად იმ იდეალზე? რა თქმა უნდა, იმ სასწავლებელს, რომლიდგანაც დაუბრკოლებლად, ადვილად შეიძლება განგრძობა სწავლისა, გონების წრთვნისა, მეცადინეობისა, ე. ი. წინ-სვლა. რომელი ეხლანდელი სასწავლებელი იძლევა ამ საშუალებას? გიმნაზია, რეალური იქნება იგი, თუ კლასსიკური, სულ ერთია. ჩვენ, კერძოდ, შეგვიძლიან დიდის კრიტიკის თვალით შევხედოთ ამნაირს საშუალო-სასწავლებლების სისტემებს, მაგრამ საერთოდ უმთავრესს წერტილამდის, საგნამდის ესენი უფრო აღწევენ.

შეიძლება მიპასუხონ, რომ ყოველნაირი სასწავლებელი, დიდის მეცადინეობის შემდეგ, განავითარებს ადამიანის გონებასაო.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ და ვფიქრობდეთ ყოველთვის შუათანა ნიჭისა და შეძლების ადამიანისათვის. ყოველი ჩვეულებრივის მხნეობისა და ნიჭის პატრონი ადამიანი მხოლოდ მაშინ ჰშრომობს ნაყოფიერად, მაშინ უახლოვდება გამორკვეულ აზრს, როდესაც მხნეობისა და ძალ ღონის დამასუსტებელი გარემოებანი არ ეღობება წინ, როდესაც მას ზომაზედ გადამეტებულის ბრძოლით არ სჭირდება თავისის მდგომარეობის გამტკიცება. შუათანა ძალ-ღონის მქონე ადამიანისთვის მის პატრონ და მზრუნველთაგან ყოველთვის ისე უნდა იყოს სარბიელი მოწყობილი, რომ დიდი შრომა, ნამეტანი თავის დაძალება არ დასჭირდეს; ამიტომაც ყოველისავე ღონისძიებით უნდა ვეცადნეთ, რომ ნორჩს, სუსტს, ახალგაზდა ყმაწვილს გავუადვილოთ ერთის გონების სავარჯიშო სასწავლებლიდგან, მეორე უმთავრესის ხარისხის სასწავლებელში გადასვლა. აი, ამიტომ, ამ მოსაზრებით, ჩვენს მდგომარეობაში სასურველია ისეთი გიმნაზიები, რომლებიდგანაც უშიშრად, უხიფათოდ, გონებისა და აგებულობისთვის ზომაზედ მეტად ძალადაუტანებლად შეიძლება უმაღლესს სასწავლებელში გადასვლა. ჩემის აზრით, მოზარდ ყმაწვილს დიდადა ჰმატებს ენერგიასა და სულიერს ძალას, როდესაც, ხან-გრძლივ და ბეჯითის მეცადინეობის შემდეგ, ეძლევა უფლება წასდგას შემდეგი ნაბიჯი წინ; პირ-იქით, გონებრივად და ხშირად ფიზიკურადაც აჰლუნგებს, ასუსტებს ადამიანს, როდესაც ხანგრძლივი თავგამოდებული მეცადინეობა და შრომა დაუფასებლად, უნაყოფოდ ეკარგება: ეს გარემოება ხშირად სულიერად ამახინჯებს ახალგაზდას. ასეთს მდგომარეობაში იმყოფებიან მოსწავლენი ჩვენის კარ-ჩაკეტილის სასწავლებლებისანი, რომლებიდგანაც არ შეიძლება დაუბრკოლებლად, უმსხვერპლოდ წინ-სვლა, ფეხის წინ გადადგმა.

აი, ეს მოსაზრება გვაიძულებს უპირატესობა მივცეთ პროგიმნაზიასა და გიმნაზიას სხვა კერძო დაბალის ხარისხის სპეციალურ სასწავლებლებთან.

ნიკო თავდგირიძე

---

## წერილი კავკავიდგან

31 მარტი.

სადღაც წამიკითხავს, რომ თეატრი სკოლაა და არა გასართობიო. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, ისე ცხადია ყველასათვის, ვისაც-კი ცოტაც არის ესმის დიადი მნიშვნელობა თეატრისა, რომ მისი დამტკიცება მეტიღა იქნება. დიაღ, ეს ასეა, მაგრამ კავკავის ქართველი ინტელიგენცია-კი სულ სხვა თვალით უყურებს ამ საქმეს. მისის აზრით, ოღონდ საზოგადოებამ-კი იცინოს, ოღონდ ბილეთები-კი გაიყიდოს და სხვას არაფერს დაგიდევს... მისთვის მეტია იმისი ფიქრი, თუ საზოგადოებას რას აწვდიან, წარმოდგენებს რა გავლენა აქვს ან რა აზრებს უნერგავს ხალხს?... იქნება სწორედ ესეც იყოს მიზეზი, რომ ამ გვარის წარმოდგენების შემდეგ ხალხი მხოლოდ იმაზე მსჯელობს ხოლმე, რომელი სცენა უფრო გასართობი იყო, რომლის როლი უფრო სასაცილო და სხ. იქნება მიპასუხონ, ჩვენ რა ვქნათ, დუ საზოგადოება ამ გვარ პიესებს თხოულობსო... მაგრამ ეს ვერაფერი თავის გამართლება იქნება, რადგანაც, ჯერ ერთი, ჩვენდა სასიხარულოდ, იმისთანებიც საკმაოდ არიან, რომლებიც თეატრისგან აზრსაც თხოულობენ, და მეორეც—საზოგადოების გემოვნებას რომ ავყვეთ, სად წავა?!. არა, თეატრი ისეთი რამ არის, რომელსაც დიდის სიფრთხილით უნდა ვეკიდებოდეთ, თორემ ადვილად შესაძლებელია, რომ მისი წმიდა დანიშნულება სულ სხვა გვარად გამოვიყენოთ...

ეს შენიშვნა გამოიწვია გუშინდელმა (30 მარტის) ქართულმა წარმოდგენამ, რომელმაც მაგდენად ვერაფრად იმოქმედა. პატივცემულ სცენის მოყვარეთ წარმოსადგენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აერჩიათ ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული კომ. „აღლუმი“ და ვოდევილი „პრიკაშჩიკი შკაფში“. სწორედ არ გვესმის, რა აზრი ჰქონდათ, საზოგადოებას რომ ამ გვარ პიესებს აწვდიდნენ! შესაძლებელია, „აღლუმი“ (ვოდევილზე არას ვიტყვით. ესეც, როგორც ბევრი სხვა ამგვარი, მხოლოდ იმისთვის არის დაწერილი, რომ საზოგადოება აცინოს...) სხვაგან წარმოსადგენად კარგიც იყოს, მაგალითად ტფილისში, თუნდა, სხვაც რომ არა იყოს-რა, სხვა-და-სხვაობისთვის, მაგრამ კავკავისთვის-კი არა მგონია საჭირო იყოს. აქ წელიწადში სულ ერთი წარმოდგენა ძლივს იმართება და სასურველია, ამ ერთს წარმოდგენას მაინც მეტი ყურადღება მიექცეს. კავკავის ქართველობა ჯერ იმდენად არ დაცემულა, რომ „აღლუმისთანა“ კომედიები აფხიზლებდეს... საჭიროა ჯერ რიგიანად მოფიქრება, კარგად გადათვალიერება პიესებისა და მერე ისე წარმოდგენა. თორემ რასა ჰგავს, რომ ერთი რომელიმე მეთაური არჩევდეს და სხვებიც ძალა-უნებურად ეთანხმებოდნენ... ეხლაც ასე იყო: ბევრი მოთამაშეთაგანი „აღლუმის“ წარმოდგენის წინააღმდეგი იყო თურმე, მაგრამ... მაინც წარმოადგინეს. ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ სცენის მოყვარენი რიგიანად ვერ ეკიდებოდნენ თავიანთს მოვალეობას. მართალია, წარმოდგენის მოთავენი დიდი მადლობის ღირსნი არიან, რომ აქაურს ქართულს სკოლას, ამ ერთად ერთს სხივს კავკავის ქართველობის ნუგეშისას, ეხმარებიან (წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ იყო დანიშნული), მაგრამ უფრო დიდის მადლობის ღირსნი იქნებიან თუ მათ მიერ არჩეული პიესების შინაარსიც ისევე სასარგებლო იქნება ხალხის გამოსაფხიზლებლად, როგორც წარმოდგენებიდგან შემოსული ფულია სასარგებლო სკოლის ნივთიერად უზრუნველ-ყოფისათვის. ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ თეატრი სკოლაა და არა გასართობი.

ახლა-კი თვით წარმოდგენას შევეხოთ. არ ვიცით რა მიზეზით, მთელი მეოთხე მოქმედება „აღლუმისა“ გამოსტოვეს, რითაც, რა თქმა უნდა, უფრო დაასუსტეს ისეც სუსტი კომედია. აგრეთვე ვერცარა თამაშობით ითამაშეს კარგად, მეტადრე მეორე და მესამე მოქმედება უფრო სუსტობდა, რასაც ჩვეულებრივ როლების უცოდინარობაც ხელს უწყობდა. არ იქნა და არა, ვერ აიცილეს ეს ნაკლულევანება! როლის უცოდინარობა დიდად აბრკოლებს მსახიობის თამაშს, მეტადრე სცენის მოყვარისას, რომელიც მხოლოდ იმის ცდაშია, სუფლიორის სიტყვები არ გამომეპაროსო... მაინც არა უჭირდათ-რა ქ-ნ სარაჯიშვილისას (ნუცას როლში), ბ-ნ ალ. სარაჯიშვილს (პრიკაშჩიკისაში) და სხვ.

დასასრულ, ვისურვებთ, რომ შემდეგში უფრო მეტი ყურადღება მიექციოთ, როგორც პიესის არჩევანისა, ისე თამაშობისათვისაც. ჩვენ ვამცნევთ, რომ სცენის მოყვარეთა შორის არიან იმისთანებიც, რომელთაც ნიჭი მსახიობისა ცხადად ეტყობათ, და ეს ნიჭი რომ საკმაოდ ავარჯიშონ, ეცადნენ, უეჭველია, კავკავში კარგი სცენის მოყვარენი გვეყოლებიან. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და წმინდა შემოსავალიც, ხარჯს გარდა, 350 მან. დარჩა. როგორც ყოველთვის, სომხობაც ბლომად დაესწრო. ქ-ნი კარგარეთელისაც იყო ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ არ მიიღო მონაწილეობა, არ ვიცით-კი რა მიზეზით. ეხლა აქ ამის შესახებ სხვა-და-სხვა ჭორი დადის და სასურველია, რომ ნამდვილი მიზეზი გამომჟღავნდეს.

კახელი

## სასამართლოს მატიანე

მეპურის გოშაძეს მოკვლის საქმე.

4 აპრილს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა არტემ დემუროვის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა მტრობით მოკვლა კაცისა.

აი გარემოება ამ საქმისა: 1896 წ. დეკემბერში მიუყიდნია რაჭის მაზრის მცხოვრებელ გლეხს სამსონ გოშაძეს გამომცხვარი პური ასლამაზოვის სასმელების დუქნის მოსამსახურე არტემ დემუროვისათვის, რომელსაც ყალბი აბაზიანი მიუცია. გოშაძეს უცვნია თუ არა სიყალბე აბაზიანისა, არ აუღია და დაუწყია თხოვნა სხვა ფულისა. ამაზედ შელაპარაკებულან და ჩხუბი მოსვლიათ. ამდგარა გოშაძე და პოლიციის მოხელე ლიამინისათვის გამოუცხადებია, რომ ამანა-დაამან ყალბი აბაზიანი მომცაო. დემუროვი დაჰმუქრებია გოშაძეს, უსათუოდ მოგკლავ რაკი ასე გამაქვეყნეო. ამ ჩხუბის შემდეგ გავიდა ერთი თვე და 13 იანვარს 1897 წ. დემუროვს დაუნახავს გოშაძე საზამთროების მოედანზედ, ყოვლის უმიზეზოდ მივარდნია დაუკრავს დანა გოშაძესთვის ფერდში და გაქცეულა. დაჭრილმა დაიკვლა: „მიშველეთ!“ და იქვე დაეცა თურმე გულ-შეწუხებული. მეორე დღეს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა უბედური. სიკვდილის წინ გამომძიებელ ლაზარევისათვის უჩვენებია, რომ არტემ დემუროვმა დამკრა ფერდში დანა, რადგან ყალბის აბაზიანის გამო გადამემტერაო. გოშაძის ჩვენებისათვის სასამართლოში მოწმე ტერ-არუთინოვსაც კვერი დაუკრავს, რადგან თავისის თვალით უნახავს ყველაფერი.

ბრალდებულმა, არტემ დემუროვმა აღიარა დანაშაული, მე და გოშაძე დიდი ხანია გადამტერებულნი ვიყავით და შევხვდი თუ არა, მაშინვე დანა დავკარ ფერდშიო.

ოლქის სასამართლომ, იცნო რა დამნაშავედ არტემ დემუროვი, რომ ადრევე გულში ჩადებულის განზრახვით მოუკლავს გოშაძეო, დაადგინა: ჩამოერთვას დემუროვს ყოველი ღირსება და გაიგზავნოს ციმბირის მახლობელს ადგილებში საცხოვრებლადაო.

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის საქმე.** დიდ სახელმწიფოთა მეცადინეობამ მშვიდობიანობის დაცვისამ ტყუილად ჩაიარა; დიპლომატების მიწერ-მოწერამ და ზრუნვამ, რომ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ატეხილი კამათი ჩვენის სურვილისამებრ დავაბოლოვოთ, ვერ გასჭრა და საქმემ ისეთი მიმართულება მიიღო, რომელიც იმ თავითვე ყველას შიშის ზარსა ჰგვრიდა. როგორც კონსტანტინეპოლიდგან მოსული დეპეშა გვაუწყებს, ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს 5 აპრილს ელჩებისათვის უცნობებია, რომ საბერძნეთის მუდმივმა ჯარმა ოსმალეთის საზღვარი ხუთს ადგილას გადმოლახა და ამის გამო ედჰემ ფაშას (ოსმალეთის მხედრობის მთავარ-სარდალს) ბრძანება გაეგზავნა, —წინ გადაელობოს საბერძნეთის ჯარსო. იგივე დეპეშა გვაცნობებს, რომ ოსმალეთის წარმომადგენელმა ათინა დასტოვა და საბერძნეთის წარმომადგენელმაც კონსტანტინეპოლში თავისი რწმუნების სიგელები უკანვე დაიბრუნაო. ერთის სიტყვით ომი გამოცხადებულად უნდა ჩაითვალოს და ამის შესახებ ოსმალეთისა და საბერძნეთის მთავრობათა მიერ გამოცემულს მანიფესტს ყოველ საათში უნდა მოველოდეთ. აქამდის საბერძნეთი იმას ეხვეწებოდა დიდ სახელმწიფოთ, რომ იწამეთ ღმერთი, კრიტი დამანებეთ და ამით საბერძნეთისასაც და კრიტელების სურვილსაც დააკმაყოფილებთო. თუ ამას არ იზამთ, იცოდეთ, რომ ომი ასტყდება და მე ნუღარას დამაბრალებთო. დიდმა სახელმწიფოებმა ეს თხოვნა და მუდარა არ შეიწყნარეს და, როგორც ვხედავთ, საბერძნეთმა თავისი მუქარა კიდეც შეასრულა. ეხლა ბევრიც რომ ეხვეწონ საბერძნეთს,—კრიტი მიირთვი და შენთვის იყავ, ნუ იომებო, ვინ იცის, იქნება არც-კი შეისმინოს, რადგან გვიანღა არის [illegible] საბერძნეთის მთავრობამ კიდეც რომ მოინდომოს უკან დაწევა, ძნელად თუ ეს მოახერხოს, რადგან მხედრობაც და საბერძნეთის მკვიდრნიც ამის წინააღმდეგნი იქმნებიან.

ამ ომში ვის დარჩება გამარჯვება და ვინ დამარცხდება, ამის შესახებ ჯერ-ჯერობით გადაჭრით ვერავინ ვერას იტყვის. მაგრამ, როგორც მცოდნე კაცები ამტკიცებენ, ხმელეთის მხრივ ოსმალეთის ჯარს საბერძნეთის ჯარი დიდს ცილობას ვერ გაუწევს, ერთი იმიტომ, რომ ოსმალეთის ლაშქარი ამ მხრივ საბერძნეთისაზედ გაცილებით მეტია და მეორეც—უფრო გაწვრთნილი და შეთოფ-იარაღებული. ამის გამო ოსმალეთის ლაშქარი დაუბრკოლებლივ გადალახავს საბერძნეთის საზღვარს და თესალიას მოედება; შეიძლება მცირე ხნის განმავლობაში ათინასაც მიადგეს. ხოლო ზღვის მხრივ ეგევე არ ითქმის: ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ საბერძნეთის ფლოტი ოსმალეთისას უთუოდ დაამარცხებსო. ასეთი მოსაზრების საბუთად ერთი ის მოჰყავთ, რომ საბერძნეთის ფლოტი ოსმალეთისაზედ გაცილებით ძლიერია და, მეორეც ისა, რომ არხიპელაგის კუნძულებზედ მცხოვრები ბერძნები მოუთმენლად მოელიან ომს და რა-კი საბერძნეთის სამხედრო გემს დაინახვენ, მაშინვე ისინიც ამბოხებას მოახდენენო ოსმალეთის წინააღმდეგ. საბერძნეთს ის უპირატესობაც აქვს, რომ მაკედონიაში მცხოვრები ბერძნები, როგორც წინაზედაც ამტკიცებდნენ, რა-კი ომი გამოცხადდა, უთუოდ თოფს აიღებენ ხელში და მაშინ ხომ ოსმალეთის ხმელეთის ჯარის კარგა დიდი ნაწილი მაკედონიის მეამბოხეებთან ბრძოლას მოუნდება. ამასთანავე ისიც სახეშია მისაღები, რომ სომხები, რაც უნდა უძლური და იმედ-დაკარგულნი იყვნენ, რა-კი ოსმალეთს გაჭირვებულსა ჰნახავენ, თავს წამოჰყოფენ, და ეს გარემოება მცირეოდენს მსხვერპლს მაინც მოითხოვს ოსმალეთის მხრივ. ერთის სიტყვით, ოსმალეთს მრავალ მხრივ დავიდარაბა აუტყდება, ოსმალეთის სატკივარი ბევრგან იჩენს თავს და ყოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, საბერძნეთს დიდად ხელს შეუწყობს.

## ნაკვესი

—

— გარწმუნებთ, რომ მშვენიერი, პატიოსანი ცხენიაო, ეუბნებოდა ჩოდარი ცხენის მყიდველს.

ცხენი გაიყიდა და პირველსავე დღეს ძირს გადმოაგდო თავისი პატრონი. მყიდველმა დაიბარა ჩოდარი და უსაყვედურა:

— როგორ არა გრცხვენიათ, რომ ისე მაქეთ ცხენიო.

— მოითმინეთ, ბატონო, უპასუხა ჩოდარმა: მე ხომ მარტო ისა ვთქვი, რომ პატიოსანი ცხენია მეთქი და ეს-კი სრული ჭეშმარიტებაა! ყოველთვის, როდესაც-კი ზედ შევჯდებოდი, მემუქრებოდა, გადმოგაგდებ და გადმომაგდებდა კიდეც ხოლმე, არც ერთხელ არ მოუტყუებივარ.

***

გერმანიის უნივერსიტეტებს ერთს დროს ხმა გავარდნილი ჰქონდა, რომ ოღონდ ფული მიეცით და მსწავლულის რა ხარისხიც გნებავთ იმის მოწმობას მოგცემენო. ერთი ინგლისელი მისულა და სასაცილოდ ასაგდებად ორმოც-დაათი თუმანი შეუძლევია და უთხოვნია ერთი ამისთანა მოწმობა ჩემის ცხენის სახელზე მიბოძეთო.

უნივერსიტეტში უთქვამთ:

— არა, ბატონო, ტყუილად გარჯილხართ. აქ მარტო ვირებს ვაძლევთ მაგისთანა მოწმობასა და თუ გნებავთ თქვენც მოგართმევთო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ჟურნალის „ფარმაცევტის“ უკანასკნელს ნომრების სამეცნიერო განყოფილებაში, სხვათა შორის, მოთავსებულია მოხსენება ცნობილის ექიმის ფ. გ. როზემბაუმისა მალამოს „ნაფტალანის“ (Naftalan) ზედგავლენის შესახებ. „ნაფტალანი“ ერთი იმ საშუალებათაგანია, რომელიც მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანებში იქმნა მოქცეული სასარგებლო და ნება-დართულ წამლების ნუსხაში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურს გერანიდგან თხუთმეტის ვერსის მანძილზედ მცირე კავკასიის მთების ძირად არის ადგილი ნაფტალანი, თათრულად წოდებული ნეიტლანად, ესე იგი ნავთის საბინადრო ადგილად. დიდი ხანია ადგილობრივ მცხოვრებთ შენიშნული ჰქონდათ იქ ნავთი და კიდეც ჰხმარებოდნენ წამლად ქარებისა, დამწვარისა და სხვა კანის ავად-მყოფობისაგან.

1890 წლებში ხსენებული ადგილები შეიძინა ფრიად გამოცდილმა, მცოდნე და მხნე კაცმა ინჟენერმა ეგერმა. იმისდა მიუხედავად, რომ ზოგიერთი მისი თანამოხელენი ამტკიცებდნენ ადგილს ნავტალანში მოპოებულის ნავთის უვარგისობასა და გამოუდეგარობას, მან არ დაჰზოგა არც შრომა, არც ხარჯი და შესაფერის მხნეობით შეუდგა ნავთის გაწმენდასა და შემუშავებასა. გამოკვლევამ დააგვირგვინა შრომა ბ-ნი ეგერისა: ნავთი მაღალ ხარისხოვანი გამოდგა. იმავე გამოკვლევამ გაუწმენდელის ნავთისამ დაანახვა პატრონს მისი გაცილებით განსაკუთრებული ღირსებანი და თვისებანი. გაუწმენდელის ნავთიდგან ეგერმა შეამზადა მალამო და სახელად უწოდა „ნაფტალანი“. მალამოს მოშავო ფერი აქვს და ძლივს ეტყობა ნავთის სუნი; ის ადვილად უზავდება ყოველს ქონეულს, მაგრამ ქონივით მალე არა ფუჭდება. „ნაფტალანი“ დიდად მარგებელია ყოველს კანის ავადმყოფისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჭიროა წამალმა ღრმა ადგილი შემოიფარგლოს, კანს გაატანოს და ხორცზედაც იმოქმედოს.

მე შემიძლია თამამად ვსთქვაო, სწერს ექიმი როზემბაუმი, რომ ჩემს ხანგრძლივს ექიმობაში გამომიცდია ყოველგვარი წამალი დამწვარისა, მეცნიერების მიერ აღნიშნული, მაგრამ ისე კარგად, როგორც „ნაფტალანის“ ხმარებას, არც ერთს არ უმოქმედნიაო. საშინელსა და მეტად საგრძნობელს ტკივილებს ადვილად აყუჩებს და, თუ დროზედ იქნა ხმარებული, სიმსივნესა და დაწყლულებას არ აცლის, რადგან მალამო „ნაფტალანი“ არ იკარებს ბაკტერიებსო. „ნაფტალანი“ გამოვცადე ათეშანგით ავადმყოფებსა და შემდეგის კანის ავადმყოფობაზედაო. Eczema acutum et chronicum, Psoriasis, Prurigo, Pithyriasis seborrhoca capillati, Erusipelal და Errosiones და ყოველთვის კარგად ჰმოქმედებდაო. ავადმყოფთ შორის ზოგიერთი ხანგრძლივის ექიმობის შემდეგ მხოლოდ „ნაფტალანით“ მორჩნენო. „ნაფტალანის“ სიიაფე აფთიაქებში საზოგადოების ნივთიერად ხელ-მოკლე ნაწილსაც გაუადვილებს საჭიროებისამებრ იმის შეძენასო. ხმარების დროს მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ მალამო „ნაფტალანი“ ძალიან ჩქარა შედის კანშიო, ამისათვის დღეში ორჯერ მაინც მით გაჟღენთილი ტილოს ნაჭერი უნდა წაიფაროთ დაავადიანებულს ადგილზედაო. დასასრულ ბ-ნი როზენბაუმი დიდს მადლობას უხდის ამხანაგებს ექიმთ პავლოვსკის, კიმონტას, ელიაშვილს, გედალინს, თომადჯანოვს, როტინიანცს, რომელთაც მისის თხოვნით უცდიათ მალამო „ნაფტალანი“ თავისს ავადმყოფებზედ და შედეგი ამ ცდისა მისთვის უცნობებიათ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 აპრილი

**პეტერბურგი.** 5 აპრილს საუფლისწულო მამულების მმართველობამ და ორდენების კაპიტულმა თავისის არსებობის ასის წლის თავი იდღესასწაულა. პარაკლისს ხელმწიფე იმპერატორი დაესწრო.

**ბაქო.** ბიბი-ეიბათზედ გათენებისას ამოხეთქილ როთშილდის ნავთის შადრევანს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი ჯერ არ გამქრალა. დაიწვა 7 კოშკი. ცეცხლი უკიდია როთშილდისავე მეორე მახლობელ შადრევანსაც.

**კონსტანტინეპოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა შეატყობინა ელჩებს, რომ საბერძნეთის მუდმივი ჯარი გუშინ საღამოთი თავს დაესხა ოსმალეთის სიმაგრეებს: ბაირაქთარსა, კოდმოსა, ფერდიქსა, სოლოსთენსა და ულესქოსთან. სამის საათის ბრძოლის შემდეგ ბერძნები უკუ აქციეს. ბერძნების ხელში დარჩა მხოლოდ სიმაგრეები პოტიკასა და ანალიპსის მაღლობებზედ. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ოსმალეთის ჯარი წინ წაიწევსო.

**კონსტანტინეპოლი.** 4 აპრილს, საღამოთი ბერძნები 7 ადგილას საზღვარს გადავიდნენ, ოსმალეთს თავს დაესხა საბერძნეთის მუდმივი ჯარი. ელასონის პირდაპირ ბერძნებმა ერთი სიმაგრე დასწვეს.

**კონსტანტინეპოლი.** 5 აპრილს

გარეშე საქმეთა მინისტმა შეატყობინა ელჩებს, რომ საბერძნეთის მუდმივი ჯარი 5 ადგილას გადავიდა საზღვარს და ეთჰემ-ფაშას ებრძანა მტერს დაუხვდეს. საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის სადიპლომატიო მიწერ-მოწერა მოისპო. ოსმალეთის ელჩი ათინიდგან გამოიწვიეს. კონსტანტინეპოლში მყოფ საბერძნეთის ელჩს მავროკორდატოს მოწერილობა მოუვიდა, საბერძნეთში წამოდიო.

**კონსტანტინეპოლი.** არზრუმიდგან ელჩებისაგან საშიში ამბები მოვიდა, ოსმალთა და ქურთებ შორის უკმაყოფილება ჩამოვარდაო.

**კანეა.** გიერაპეტრაში ყვავილი და სახადი მძვინვარებს. მეამბოხეთ წყალი შესწყვიტეს და მცხოვრებნი ცისტერნებიდგან იღებენ წყალსა. კანდიაც ამავე მდგომარეობაშია, მაგრამ ოსმალეთის ჯარმა მეამბოხეთ წაართვეს მდინარის სათავე. კონდიოტის ციხეში პატიმრები აჯანყდნენ და ამის გამო გემით წაიყვანეს როდოხში.

**რომი.** მთავრობამ გადასწყვიტა გაუგზავნოს ადმირალ-კანევაროს ორი ბათალიონი და ერთი ბატარეა ნაცვლად კრიტში მყოფ ზღვაოსანთა ჯარისა, რომელსაც ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში დააყენებენ.

**სოფია.** მთავარი ფერდინანდი შვერინში მიდის დიდის ჰერცოგის დასაფლავებაზედ დასასწრებლად.

7 აპრილი.

**კონსტანტინეპოლი.** 6 აპრილს საზღვარ-გარეთ მყოფ ოსმილეთის წარმომადგენელთ გაეგზავნათ საყოველთაო დეპეშა, რომელშიაც პორტა, იხსენიეს რა იმ გარემოებას, რომ ოსმალეთის მიწა-წყალს დაეცნენ თავსაო, და აღნიშნავს რა, რომ დამცემელთა შორის საბერძნეთის მუდმივი ჯარი ერიაო, ამბობს: იმედია, დიდნი სახელმწიფონი სამართლიანობით იხელმძღვანელებენ და აღიარებენ, რომ ყოველივე პასუხის მგებელობა ომის დაწყებისა საბერძნეთს უნდა დაეკისროსო. საყოველთაო ნოტა იმითია დაბოლოვებული, რომ ოსმალეთს აზრად არა აქვს არაფრის დაპყრობა და ამითი თავისის სამფლობელოს გაძლიერება და, თავისის მშვიდობის-მოყვარეობის დასამტკიცებლად, მზადაც არის უკანვე გაიხმოს ჯარი, თუ საბერძნეთი ჯარს საზღვრიდგან უკან დასწევს და აგრეთვე კრიტიდგანაც გაიყვანს ჯარსაო.

**კონსტანტინეპოლი.** საბერძნეთის ელჩის სახლიდგან ჩამოღებულ იქმნა საბერძნეთის გერბი. თავადს მავროკორდატოს ეუწყა, რომ სადიპლომატიო დამოკიდებულება შეწყვეტილიაო. საბერძნეთის ვაჭრებსს გამოეცხადათ, რომ ორის კვირიგანმავლობაში უნდა დასტოვოთ ოსმალეთიო.

**ალესსონა.** მთელს საზღვარზედ თოფის სროლაა ატეხილი.

**ელასსონა.** 5 აპრილს დიდი ბრძოლა მოხდა კარიისთან. საბერძნეთის მუდმივი ჯარი იტალიელ თავისის ნებით საბერძნეთის ჯარში ჩარიცხულებთან ერთად გადავიდა საზღვარს, მაგრამ ოსმალეთის ოთხმა ბატალიონმა უკუ-აგდო იგი. 5 ოსმალეთის აფიცერია მოკლული. ოსმალეთის ჯარი ხელ ერთად მიუტევს მტერს.

**ათინა.** როდესაც პანელლინთ საზოგადოების გემი «მაკედონია» გამოდიოდა ამბრაკიის ყურედგან, ოსმალებმა გემს სროლა დაუწყეს პრევეზიდგან და წყალში ჩაჰლუპეს; გემის გამგე-მოსამსახურენი გადარჩენილნი არიან; კაპიტანი მძიმედ არის დაჭრილი. ამის გამო მთავრობამ ამბრაკიის ყურეში მყოფს საბერძნეთის ფლოტილიას ბრძანება გაუგზავნა, ყუმბარები დაუშინეთო პრევეზს. უკვე რამდენიმე საათია ყუმბარებს ესვრიან პრევეზს.

**ლონდონი, 7 აპრილი.** წარსულ ღამიდგან მოკიდებული თავ განწირული ომია მოლუნსკის გასავალში ომში 20,000 ჯარის-კაცამდე იღებს მონაწილეობას. თითქმის მთელი გასავალი ოსმალებმა დაიჭირეს, მაგრამ რა-კი ბერძნები ჯერ კიდევ მაღლობებზედ იმაგრებენ თავს, ბრძოლა არ შეწყვეტილა.

**კონსტანტინეპოლი, 7 აპრილი.** ბერძნებმა სკამბასა, დერატონსა, ჩილისსარსა და მილაგოსტში იერიში მიიტანეს ოსმალებზედ. პირველი, მეორე, მეოთხე და მეექვსე დივიზია ბრძოლაში იღებს მონაწილეობას, მეოთხე დივიზია საბერძნეთის საზღვარს გადავიდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება-მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ორიოდე სიტყვით ავხსნა ჩემი წიგნის — „უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა“ გამო აღძრული მითქმა-მოთქმა. მართალია, პირველად ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ამ წიგნის თაობაზედ „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი, მაგრამ ჭეშმარიტების აღდგენა ყოველი საქმის თაობაზედ ყველასათვის სასურველი უნდა იყოს. თქვენ გაზეთში დაბეჭდილი შენიშვნის ავტორი ამტკიცებდა, რომ ჩემი წიგნი ნათარგმნია, და მე, ვითომც, სხვისი თხზულება უნდა მიმეთვისებინოს. ეგ შენიშვნა სინამდვილეს არ შეიცავს. მართალია, გაცფელდტის თხზულება, რომლის ნათარგმნი, ვითომც და, უნდა იყოს ჩემი წიგნი, უკვე გადაითარგმნა ქართულად და იბეჭდება „მოამბეში“, მაგრამ ყველა არ მიიღებს შრომას შეამოწმოს საქმის მდგომარეობა და ამ ნაირად ჭეშმარიტება აღადგინოს. საჭიროა, რომ გაზეთის საშუალებით გამოცხადებული იქმნეს ეგ საქმე, მე ხომ ტყუილს არ ვიგონებ, თქვენ ხელში გაქვთ გაცფელდტის თხზულებაც, ჩემი წიგნიც, ძველი „ივერიის“ ნომერიც, სადაც წინეთ დაბეჭდილი იყო ჩემ მიერ ამ საგანზედ (იხ. „ივერია“ 1894 წ. № 60). თქვენ შეგიძლიანთ სინამდვილე დაადგინოთ მიუდგომლად, გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება შემდეგ საგნებს: 1, ის კითხვები, რომელიც მე უმთავრესად მაქვს აღნიშნული ჩემს წიგნში, გაცფელდტის თხზულებაში სრულიად არ არიან მოყვანილნი; 2, ის ნაწილი ჩემი წიგნისა, რომელიც „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი 1894 წ. გაცფელდტის გარეშე და იმის წიგნის გამოსვლამდე, ეს ნაწილი შეადგენს სამს მეოთხედს ჩემი წიგნისას. მართალია, მე ვიხელმძღვანელე გაცფელდტის წიგნით სხვა-და სხვა გვარი კრიტიკის სხემის დადგენის დროს, მაგრამ აქედგან ის დასკვნა რა ნაირად უნდა გამოვიყვანოთ, რომ ვითომც ჩემი წიგნი გაცფელდტიდგან ნათარგმნი უნდა იყოს. თუ მე სამი მეოთხედი ჩემი წიგნისა გაცფელდტის თხზულების გამოსვლამდე შემიდგენია, იმ შემთხვევაში მე-კი უნდა მქონდეს ნება ჩემი წიგნი ჩემს თხზულებად ჩავთვალო. — ეგ ჩემი წიგნი ეხლა ყველგან იყიდება მიმატებული წინასიტყვაობით, სადაც მე თითონ აღვნიშნე ის ცნობები, რომელიც ჩემ მიერ ამოღებულია გაცფელდტის თხზულებიდგან.

ამ ნაირად მე სრულიად გავასწორე ჩემი შეცდომა. — მე სრული იმედი მაქვს რომ „ივერიის“ რედაქცია ჩემს სიმართლეს არ დამიკარგავს.

და თუმც რედაქცია არ მიიღებს თავის თავზედ ამ საქმის განხილვას, იმ შემთხვევაში მე უმორჩილესად გთხოვთ დამინიშნოთ ქუთაისში ორი პატივცემული პირი, რომელთაც შეიძლონ ამ მდგომარეობის გარჩევა. მე-კი ჩემის მხრივ ვნიშნავ ბ.ბ. კირილე ლორთქიფანიძეს და გრიგოლ გველესიანს, დეე, ამათ განიხილონ ეგ საქმე და თავისი განაჩენი დაჰბეჭდონ „ივერიაში“. მე მაშინ სრულიად დაკმაყოფილებული ვიქნები *).

მიხეილ იოსების ძე სალარაძე

ქუთაისი.

### ბ-ნ მ. ი. სალარაძის პასუხად.

ყოველთვის ვერიდებით და არა გვსურს, რომ პოლემიკაში ჩაბმით საზოგადოებას თავი შევაწყინოთ, ამიტომაც ვეღარ გამოვეკიდებით ბ-ნ სალარაძის უცნაურობას. მხოლოდ ეს უნდა ვუპასუხოთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მედიატორეთა სამართალი გარდავაქციოთ სათამაშ საგნად, ჩვენ მას დიდ-მნიშვნელობას ვაძლევთ და ჩხირკედელაობად არ მიგვაჩნია, როგორც ზოგიერთს ჩვენს ლიტერატურულის ზნეობის ვითომდა დამცველებს.

ბ-ნმა სალარაძემ თავის-თავზედ უკვე განაჩენი დაადგინა იმ წინასიტყვაობით, რომელიც მიაკერა თავისს შესანიშნავ წიგნაკს ჩვენის ბიბლიოგრაფიის შემდეგ.

იქ ბ-ნ სალარაძე ბრძანებს „დამატებაში, (?!) სხვათა შორის, როგორც სამეცნიერო მასალით, ჩვენ ვისარგებლეთ გაცფელდტის წიგნით, რომლიდგან ამოღებული ცნობები (?! ცნობები კი არა, ბ-ნმა სალარაძემ სთარგმნა სიტყვა-სიტყვით „სხვა-და-სხვა გვარი კრიტიკის სხემის დადგენა“, „სხვა-და-სხვა გვარი კრიტიკის“ ღირსებანი და ნაკლულევანებანი) მე-20—22, 23, 24, 25, 26, 27 და 28 გვერდზედ არის მოყვანილი ჩვენს წიგნშიო“. ჩვენც ამის მეტი არა გვითქვამს-რა ჩვენს ბიბლიოგრაფიაში. ჩვენ ვაუწყეთ საზოგადოებას, რომ რამდენიმე გვერდი, საუკეთესონი და უმთავრესნი ბ-ნ სალარაძის ნაწარმოებში ნათარგმნი იყო და არ იყო აღნიშნული არავითარის ნიშნით და არც მოხსენებული, საიდგან ესარგებლა. ეხლა თავისის წიგნაკისათვის დაურთავს წინასიტყვაობა, (ჩვენის ბიბლიოგრაფიის შემდეგ ვიმეორებთ), და თან იმასაც ასტკიცებს, $^{1}/_{4}$-დის მეტი არ გვისესხნიაო. სამართალში არავინ აძლევს ბ-ნს სალარაძეს. კანონიც რომ სჯიდეს ამისათვის, მაგრამ ლიტერატურული მართებულება და წესიერება-კი დარღვეულია, რომელშიაც ამ ფაქტს აღიარებს. აქ საზოგადოებაზედ უკეთესი მედიატორეთა სამართალი არც მოხერხდება და არც საჭიროა ვისიმე შეწუხება.

ბოლოს ვუცხადებთ, რომ ის ბიბლიოგრაფია მეკუთვნოდა მე და რადგან მაშინ „ივერიის“ რედაქციაში ვიყავი, ბიბლიოგრაფიებს სახელს არ ვაწერდი.

კიტა აბაშიძე

*) ამ წერილს, ბ-ნ სალარაძის მრავალის თხოვნის შემდეგ, ვბეჭდავთ სიტყვა-სიტყვით და აქვე ვბეჭდავთ ამ წერილის შესახებ შენიშვნას ბ-ნის კიტა აბაშიძისას, რომელსაც ეკუთვნოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ბიბლიოგრაფია, და ამითი ვსპობთ ყოველგვარ ბაასს ბ-ნ სალარაძის წიგნის გამო.


# განცხადებანი

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა **მმართველობა ამითი აცხადებს**, რომ ხსენებულის საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივ საყოველთაო კრების მაგიერ, რომელიც ამა წლის 30 მარტს არ შესდგა, **დანიშნულია** ხელ ახალი **კრება** ამა **აპრილის 20 დღესა, საღამოს 7 საათზედ.** რამდენი წევრიც უნდა დაესწრნენ ამ ახალს კრებაზედ, იგი კანონიერი იქმნება და მის მსჯელობას ექვემდებარება მხოლოდ ის საქმეები, რომელთა გადასაწყვეტადაც იყო მოწვეული პირველი კრება.

(1—6—1)

სამშაბათს, 15 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

**საზოგადო კრება**

„იმ სასწავლებლების გაჭირვებულ მასწავლებელთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა, რომელნიც ქ. ტფილისის ხარჯით დაარსებულ სასწავლებლებში სწავლობენ“. საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ამა საზოგადოების 1896 წლისს ანგარიში.

კრება დაიწყება დილის 11 საათზედ.

(3—6.—1)

**პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ** უფრო **კარგად ასხურებს** წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება **დრო და მასალა**



ისყიდება: **ივანე კულიჯანოვის** მაღაზიაში ქ. **თელავს.**

**ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.**

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, **ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117.**

20—6.—13)

**გამგეობა ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა** ამით აცხადებს, რომ მის მიერ ახლად დაბეჭდილი

**მამია გურიელის (ფახელის)**

ყველა ნაწერები,

გრცელის ბიოგრაფიით და ფოლადზე ამოჭრილ სურათით

იყიდება შემდეგს აგენტებთან:

1. **ქუთაისში:** ძმ. ჭილძეების, ბეჟანეიშვილის, ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლალიძესთან.
2. **ხონში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
3. **სამტრედიაში**—კალაძის წიგნის მაღაზიაში.
4. **ახალ-სენაკში**—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
5. **ძველ სენაკში**—სამსონ ყიფიანთან.
6. **ფოთში**—სოფრონ მგალობლიშვილთან.
7. **ბათომში**—კ. თავართქილაძის მაღაზიაში და მათე ნიკოლაძის სააგენტოში,
8. **სოხუმში**—იოსებ კიწმარაშვილთან.
9. **ოზურგეთში**—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
10. **ლანჩხუთში**—ნიკო კალაძესთან.
11. **ზუგდიდში**— } არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
12. **ჯვარიალში**— }
13. **ქუთაისში**—კარპე მოდებაძესთან.
14. **საჩხერეში**—ყარამან ჩხეიძესთან.
15. **გორში**—არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში.
16. **ტფილისში**—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების, ქართველთა ამხანაგობის, იმედაშვილის და ჭელიძის მაღაზიებში.
17. **ქვემო მაჩხაანში**—დიმიტრი ნადირაძესთან (მაჩხანელთან).
18. **სიღნაღში**—ივანე შავლიაშვილთან.
19. **თელავში**—მ. ცისკარაშვილთან.
20. **განჯაში**—სოლომონ დოლიძესთან.
21. **ბაქოში**—გიორგი დეკანოზიშვილთან.
22. **კავკავში**—ტიტე კახიძესთან.
23. **ონში**—ნიკო მრევლიშვილთან.

(3—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Апрѣля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.